



საქართველოს დაცული ტერიტორიები
აჭაბეთის აღკვეთილი
AJAMETI MANAGED RESERVE
Protected Areas of Georgia



ბროშურა მოამზადა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“, პროექტის ფარგლებში - „ბიომრავალფეროვნების აღდგენა აჯამეთის აღკვეთილში“, რომელიც დაფინანსებულია BP Group-ის წევრი BP International Limited (BPIL)-ისა და bp საქართველოს მიერ.

ლიტერატურული რედაქტორი: ელენე ჩაბრაძე
ფოტოები: პაატა ვარდანაშვილი, ნიკა პაპოშვილი
დიზაინი: თამარ გრძელიძე

This brochure was prepared by the Biological Farming Association "Elkana" within the framework of the project - "Restoring Biodiversity in Ajameti Managed Reserve", funded by BP Group member BP International Limited (BPIL) and bp Georgia.

Literary editor: Elene Chabradze
Photos: Paata Vardanashvili, Nika Paposhvili
Design: Tamar Grdzeldze

ISBN 123456
©ყველა უფლება დაცულია



სარჩევი

TABLE OF CONTENT

მდებარეობა და ლანდშაფტი	4 • 5	Location and Landscape
ისტორია და სტატუსი	6 • 7	History and Status
ბიომრავალფეროვნება	8 • 9	Biodiversity
რუკა	12	Map
აღდგენითი სამუშაოები	18 • 20	Restoration Efforts
რატომ არის აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორია და მისი შემოგარენი საინტერესო?	22 • 23	Why Visit The Ajameti Managed Reserve?

საქართველოს დაცული ტერიტორიები

აჯამეთის აღკვეთილი



Protected Areas of Georgia

AJAMETI MANAGED RESERVE

მდებარეობა და ლანდშაფტი

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN-ის) კრიტერიუმების მიხედვით აჯამეთის ადკვეთილი დაცული ტერიტორიის IV კატეგორიას განეკუთვნება. იგი საქართველოში არსებული 100 დაცული ტერიტორიიდან ერთ-ერთია და ამ ქსელის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

აჯამეთის ადკვეთილი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონში, კოლხეთის დაბლობის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე, ასევე მისი შენაკადების - ყვირილასა და ხანისწყლის აუზებში, ზღვის დონიდან 150-250 მეტრის სიმაღლეზე.

ადკვეთილი ძირითადად ვაკეზეა გაშლილი, მისი მცირე ნაწილი კი - გორაკ-ბორცვიანია. იგი მოიცავს აჯამეთის, ობჩისა და ვარციხის უბნებს, რომელთა საერთო ფართობი 4,990.57 ჰექტარია.

აჯამეთი კოლხური ტიპის ტყის უნიკალური და მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა მისი კლიმატი კოლხეთის დაბლობის კვალობაზე ნაკლებად ტენიანია და ხმელთაშუაზღვისთვის დამახასიათებელი ჰავას განეკუთვნება. აქ საკმაოდ ბევრი დელეა, თუმცა ისინი ზაფხულობით შრება და დიდი წვიმებისა და თოვლის დნობისას კვლავ ივსება წყლით.

ადკვეთილის თითქმის 98% მერქნიანი ტყით არის დაფარული. აქ დაცული იმერული მუხისა (*Quercus imeretina*) და ძელქვის (*Zelkova carpinifolia*) უძველესი, უნიკალური და ულამაზესი ტყის ლანდშაფტები საქართველოს ბუნების საგანძურია. აჯამეთის ადკვეთილის შექმნის ძირითადი მიზანი სწორედ ამ ორი სახეობის კორომის დაცვა, მოვლა და აღდგენის უზრუნველყოფაა.



LOCATION AND LANDSCAPE

Ajameti Managed Reserve is a Category IV protected area according to the criteria of the International Union for Conservation of Nature (IUCN). It is one of the 100 protected areas in Georgia and an important part of their network.

Ajameti Managed Reserve is located in West Georgia, Imereti region, in the Colchis lowland, on the territory of Baghdati and Zestaphoni municipalities, on the left bank of the Rioni (Phasis) River, as well as in the basins of its tributaries - Kvirila and Khanistskali, at an altitude of 150-250 m above sea level.

The Managed Reserve is mainly spread over a flat area, and a small part is hilly. It includes the districts of Ajameti, Obcha and Vartsikhe, with a total area of 4,990.57 hectares.

Ajameti makes a unique and powerful part of the Colchian-type forest, although its climate is not typical for the Colchis lowland and is more of a Mediterranean nature. There are many brooks within the managed reserve, however ravines dry in the summer period and are again filled with water during heavy rains and snowmelt.

Almost 98% of the managed reserve is covered with deciduous forest. The Imeretian oak (*Quercus imeretina*) and the Caucasian elm (*Zelkova carpinifolia*) forest protected here, make the unique and beautiful forest landscapes and a treasure of Georgian nature. The main goal of creating the Ajameti Managed Reserve is precisely to protect, maintain and restore the Imeretian oak and the Caucasian elm habitats.



ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „აჯამეთს არს სანადირო მეფეთა. აღვსილი დიდმცირეთა ნადირითა, საქებელი ფრიად. ზამთარ თბილი, ზაფხულს ცხელი, გაუძლები“.

აჯამეთის ტყეებს ისტორიულ წყაროებში პირველად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოიხსენიებს XI საუკუნის II ნახევარში, როგორც ქართველ მეფეთა სანადირო ტერიტორიას. აჯამეთის აღკვეთილის ვარციხის ზონაში, ძელქვის იზოლირებულ კორომში, შემორჩენილია მცირე ციხესიმაგრის ნანგრევები, რომელსაც ანტიკური ხანიდან ცნობილ რიონ-ფაზისის სავაჭრო გზაზე მდებარე ეგრისის სავაჭრო ქალაქ როდოპოლისს უკავშირებენ. XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ხაზინამ აჯამეთის ტყეები გაასხვისა. სწორედ ამ დროიდან იწყება ხე-ტყის აქტიური მოპოვება, რამაც იმერული მუხის მარაგი 30%-ით შეამცირა.

ხე-ტყის მოპოვების გარდა ტყეების მეპატრონე მემამულეებმა აჯამეთის აღკვეთილის ვარციხის უბანში 36 ჰა მუხის ხმელთაშუაზღვისპირული სახეობა - კორპის მუხა (*Quercus suber*) გააშენეს, რომელიც ამჟამად ორი კორომის სახითაა შემორჩენილი 22.1 ჰექტარზე.

აჯამეთის ტერიტორია 1945 წლიდან სახელმწიფო ნაკრძალის, ხოლო 2007 წლიდან - აღკვეთილის სტატუსს ატარებს. ტერიტორიაზე ორი ზონაა - მკაცრი დაცვის ზონა (673 ჰა) და ტრადიციული გამოყენების ზონა (4,317.57 ჰა). ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულია რესურსებით ტრადიციული სარგებლობა, ასევე ეკოტურისტული საქმიანობა.

აჯამეთის აღკვეთილი ასევე წარმოადგენს „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის“ ბერნის კონვენციის ფარგლებში შექმნილი „ზურმუხტის ქსელის“ ტერიტორიას, რომლის მიზანი ევროპის ბუნებრივი ჰაბიტატებისა და განსაზღვრული (მათ შორის - მიგრაციული) სახეობების დაცვაა. „ზურმუხტის ქსელი“ ევროპის ურთიერთდაკავშირებული საკონსერვაციო ტერიტორიებისაგან შედგება, რომლებსაც მართვისა და მონიტორინგის სპეციფიკური აქტივობების მეშვეობით კონვენციით დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების მოზაიკური სისტემების შენარჩუნების ან აღდგენის პოტენციალი გააჩნიათ.


According to the 18th century historian Vakhushti Bagrationi: “Ajameti is a royal hunting ground, full with large and small beasts, excellent for hunting. The winters here are mild, the summers are hot, endurable.”

In historical sources, the forests of Ajameti are first mentioned in the second half of the 11th century by the historian of David the Builder, as a royal hunting ground for Georgian kings. In Vartsikhe zone of the Ajameti Managed Reserve, in an isolated grove of Caucasian elm, the ruins of a small fortress are preserved, which the archaeologists associate with the ancient trading city of Rhodopolis of Egrisi (Colchis), located on the famous Rion-Phasis trade route. In the 19th century, the state treasury of the Russian Empire appropriated and leased to merchants the forests of Ajameti. It was from this time that active logging began, which reduced the stock of Imeretian oak by 30%.

In addition to logging, the owners of the forests, planted 36 hectares of Mediterranean oak species, cork oak (*Quercus suber*), in today's Vartsikhe district of the Ajameti Managed Reserve. Today the cork oak is still preserved on 22.1 hectares as two separate groves.

The territory of Ajameti has been a state reserve since 1945, and since 2007 - a managed reserve. The territory is divided into two zones - a strict protection zone (673 ha) and a traditional use zone (4,317.57 ha). In the traditional use zone of the Managed Reserve implementation of activities related to ecotourism and traditional use of the resources by local communities are allowed.

The Ajameti Managed Reserve is also a part of the “Emerald Network” of areas of special conservation interest within the Bern Convention on the Conservation of European Wildlife and Natural Habitats. The aim of the Convention is to protect European natural habitats and specified European (including migratory) species. The “Emerald Network” consists of various interconnected ecological conservation areas in Europe, which have the potential to for long term survival of the species and mosaic of habitats protected by the Convention through implementation of specific management and monitoring activities.



ბიომრავალფეროვნება

იმერული მუხა (*Quercus robur subsp. imeretina*)

იმერული მუხა ვიწრო ენდემი და მესამეული პერიოდის რელიქტია, გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს დაბლობებსა და მთისწინეთში, ძირითადად - აჯამეთის აღკვეთილის 4,272 ჰექტარ ფართობზე (აღკვეთილის ტყის ფართობის 87.5%).

იმერული მუხა ჩრდილის ამტანი, ტენის მოყვარული და ქარგამძლეა, იგი სიმაღლეში 30 მეტრამდე იზრდება, ახასიათებს მოკლეყუნწიანი ფოთლები და ვიწრო, ცილინდრული და გრძელყუნწიანი ნაყოფი.

იმერული მუხა შეტანილია საქართველოსა და IUCN-ის საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების ნუსხებში.

იმერული მუხის კორომების შემცირების საფრთხეს, ანთროპოგენური ზემოქმედების გარდა (მაგ., ამონაყრის გადაძოვება), ქმნის მუხის დიდი ხარაბუზასა (*Cerambyx cerdo*) და სოკოვანი დაავადებების გავრცელება, აგრეთვე მძიმე თიხნარებში წყალჩაგუბების ზემოქმედებით ფესვთა სისტემის ღპობა.



BIODIVERSITY

Imeretian Oak (*Quercus robur subsp. imeretina*)

Imeretian oak is a narrow endemic species and relict of the Tertiary period, distributed in the plains and foothills of Western Georgia, mainly in the Ajameti Managed Reserve on an area of 4,272 ha (87.5% of the managed reserve's forest area).

Imeretian Oak is shade-tolerant, moisture-loving and wind-resistant tree, growing up to 30 meters in height, characterized by short-stalked leaves and narrow, cylindrical and long-stalked fruits.

Imeretian Oak is included in the Georgian and IUCN lists of threatened species.

In addition to anthropogenic impact (e.g. overgrazing of young saplings), the threat of the decline of Imeretian oak groves is posed by the spread of the great capricorn beetle (*Cerambyx cerdo*) and fungal diseases, as well as rotting of the root system due to the impact of waterlogging in heavy clay soils.

ძელქვა (*Zelkova carpinifolia*)

ძელქვა მესამეული პერიოდის რელიქტია, ძირითადად გავრცელებულია კავკასიის ეკორეგიონის ტენიან, ფართო-ფოთლოვან ტყეებში, მდინარეთა ნაპირებზე, დაბლობებსა და მთის ქვედა სარტყელში, ზოგან ზღვის დონიდან 1,600 - 1,700 მეტრამდე.

ტყის ეკოსისტემებში ძელქვა გავრცელებულია შერეული ტყის, ძალიან იშვიათად კი კორომის სახით. შედარებით ვრცელი ტყის კორომები, სადაც ძელქვა დომინანტ სახეობას წარმოადგენს, დაცულია აჯამეთის აღკვეთილსა (49 ჰა) და ბაბანურის ნაკრძალში. აღსანიშნავია აჯამეთის უბანში, მდინარე ხანისწყლის ნაპირზე მდებარე ძელქვის 2 ჰექტარი ფართობის წმინდა კორომი, ასევე ძელქვნარი კორომი თავისთავად ქვეტყით, რაც მსოფლიოში იშვიათ მცენარეთა თანასაზოგადოებას წარმოადგენს. ძელქვის ცალკეული ერთეულები გვხვდება აღკვეთილის მთელ ტერიტორიაზე.

ძელქვის სიმაღლე 35 მეტრს აღწევს, დიამეტრი კი - 2 მეტრს; მისი მერქანი - მძიმე, დრეკადი და მეტად გამძლეა. ცოცხლობს 300-ზე მეტ წელს. მერქნის მაღალი ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით ის ერთ-ერთი უძვირფასესი მცენარეა.

გვარის მეცნიერული სახელწოდება ლათინურად - „*Zelkova*“ ქართული სიტყვა „ძელქვისგან“ წარმოდგება და სიტყვების - ძელისა და ქვის შეერთებით არის შედგენილი, რაც მისი მერქნის სიმაგრესა და გამძლეობას გამოხატავს.

ძელქვა შეტანილია საქართველოსა და IUCN-ის საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების ნუსხებში



Caucasian Elm/*Zelkova* (*Zelkova carpinifolia*)

Caucasian elm is a relic of the Tertiary period, mainly distributed in moist, broad-leaved forests of the Caucasus ecoregion, on river banks, in lowlands and in the lower mountain belt, in some places up to 1,600-1,700 meters above sea level.


In forest ecosystems, Caucasian elm is represented in the form of mixed forests, very rarely - in groves. Relatively extensive groves dominated by Caucasian elm are protected in the Ajameti Managed Reserve (49 ha) and Babaneuri reserve. It is worth noting the 2 ha monospecific grove of Caucasian elm on the banks of the Khanistskali River in the Ajameti district, as well as the Caucasian elm grove with the undergrowth of butcher's-broom (*Ruscus ponticus*), which represents a rare forest plant community in the world. Individual trees of Caucasian elm are recorded throughout the entire territory of the managed reserve.

The height of the Caucasian elm reaches 35 meters, and the diameter 2 meters; its wood is hard, elastic and very durable. It lives for 300 years or more. With its high physical and mechanical properties, it is one of the most valuable plants.


The scientific Latin name of the genus - "*Zelkova*" comes from the Georgian word "dzekva"/"ძელქვა" and is formed by combining the words - "pole" and "stone", which expresses the strength and durability of its wood.

The Caucasian elm is included in the lists of endangered species of Georgia and the IUCN.

აჯამეთის აღკვეთილის რუკა / MAP OF AJAMETI MANAGED RESERVE



პირობითი აღნიშვნები

-  ადმინისტრაციული შენობა
-  სარეზიდურო
-  ბილიის შესასვლელი
-  საკარვე და საპიკნიკ ადგილი
-  საცხენოსნო ტური
-  მანიშნებელი დაფები
-  ბილი

სხვა მნიშვნელოვანი სახეობები და ჰაბიტატები


აჯამეთის აღკვეთილის ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებაა ხნოვანი ტყეები. აქ იმერულ მუხასა და ძელქვასთან ერთად გვხვდება 550-ზე მეტი მცენარე, მათ შორის ქართული მუხა (*Quercus iberica*) და კორპის მუხა (*Quercus suber*). ეს უკანასკნელი მე-20 საუკუნის დასაწყისში ხელოვნურად გაშენებული, თუმცა არაინვაზიური სახეობაა.

იშვიათი ჰაბიტატებიდან აღსანიშნავია მუხნარი და ძელქვნარი კორომები კოლხური ბაძგის/ჭყორის (*Ilex colchica*) და თაგვისარას (*Ruscus ponticus*). ქვეტყით. იმერულ მუხასთან ერთად ჰაბიტატს ქმნის მუხის დიდი ხარაბუზა (*Cerambyx cerdo*), ასევე ევროპის რელიქტური სახეობა ალპური ხარაბუზა (*Rosalia alpina*). ორივე მათგანი საქართველოსა და IUCN-ის საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების ნუსხებშია შეტანილი.

Other Important Species and Habitats

The main biodiversity value of the Ajameti Managed Reserve are the old-growth, mainly oak forests. Here, along with the Imeretian oak and the Caucasian elm, more than 550 plants are found, including the Georgian oak (*Quercus iberica*) and the cork oak (*Quercus suber*). The latter is a non-invasive species that was artificially planted in the early 20th century.

Of the rare habitats, the oak forests and the Caucasian elm groves with the undergrowth of the Colchic holly (*Ilex colchica*) and the butcher's-broom (*Ruscus ponticus*) are notable. Along with the Imeretian oak, the habitat is formed by the great capricorn beetle (*Cerambyx cerdo*) and the European relict alpine longhorn beetle (*Rosalia alpina*), both of which are on the IUCN and Georgian endangered species lists.



კორპის მუხა / Cork oak (*Quercus suber*)



••••• თაგვისარა (*Ruscus ponticus* Woronow)



ევროპული შველი (*Capreolus capreolus*)



სტეპის კირკიტა (*Falco naumanni*)

აჯამეთის ტყეები მდიდარია სხვადასხვა სახეობის სოკოთი და კენკრით.

აქ გვხვდება მრავალი ფრინველი, რომელთაგან უმეტესი გადამფრენია, მათგან „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი ბუკიოტი (*Aegolius funereus caucasicus*), შავი ყარყატი (*Ciconia nigra*), ასევე გადამფრენი ფრინველები - სტეპის კირკიტა (*Falco naumanni*) და რუხი წერო (*Grus grus*). გადამფრენი ფრინველების მიგრაცია იწყება ოქტომბრის დასაწყისიდან და გრძელდება ნოემბრის შუა რიცხვებამდე.

ძუძუმწოვრებიდან აღსანიშნავია ევროპული შველი (*Capreolus capreolus*) და საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ისეთი სახეობები, როგორებიცაა ფოცხვერი (*Lynx lynx*), კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*), წავი, კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*) და ღამურების რამდენიმე სახეობა.



რუხი წერო (*Grus grus*)



შავი ყარყატი (*Ciconia nigra*)

The forests of Ajameti are rich in various species of mushrooms and berries.

Many bird species inhabit the area, most of them migratory. Among those on Georgia's Red List are the Caucasian boreal owl (*Aegolius funereus caucasicus*), black stork (*Ciconia nigra*), as well as migratory species - lesser kestrel (*Falco naumanni*), and grey crane (*Grus grus*). The migration of birds begins in early October and continues until mid-November.

Among mammals, the European roe deer (*Capreolus capreolus*), as well as species listed in Georgia's Red List as - lynx (*Lynx*), Caucasian squirrel (*Sciurus anomalus*), otter, Caucasian viper (*Vipera kaznakovi*) and several vesper bat species, are notable.

აჭაბეთის ალკვეთილის ტყის ადდგენითი სამუშაოები

2022–2026 წლებში ბიოლოგიურ მუერნეობათა ასოციაცია „ელკანამ“ BP Group-ის წევრი BP International Limited (BPIL)-ისა და bp Georgia-ს დაფინანსებით და საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან (APA) თანამშრომლობით, პროექტის ფარგლებში - „ბიომრავალფეროვნების ადდგენა აჭაბეთის ალკვეთილში“, 6.72 ჰა ფართობზე ჩაატარა იმერული მუხის კორომის ადდგენითი სამუშაოები.

იმერული მუხის ადდგენითი სამუშაოების ფარგლებში ტერიტორია გაიწმინდა, შემოიღობა და სარწყავი სისტემით აღიჭურვა - დამონტაჟდა წყალსაქაჩი სადგური, წყლის რეზერვუარი და ტერიტორია დაიქსელა წვეთოვანი სარწყავი მილებით, რის შემდეგაც დაირგო 20,300 იმერული და 1,200 ძირი ქართული მუხის ნერგი.

საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისთვის მოეწყო სანერგე მუერნეობა, სადაც გამოჰყავთ იმერული მუხისა და კავკასიური ძელქვის ნერგები.

გარდა ამისა, საკონსერვაციო ნაკვეთთან ახლოს მდებარე ტყის წინასწარ შერჩეულ არეალებში, რომლებმაც ყველაზე მეტად განიცადეს ანთროპოგენური ზემოქმედება, ბუნებრივი რეგენერაციის გასაძლიერებლად დაირგო 5,900-მდე იმერული მუხის ნერგი, ასევე დაითესა კაფსულირების მეთოდით დამუშავებული მრავალი იმერული მუხის რკო და ძელქვის თესლი.

პროექტის ფარგლებში ასევე შეიქმნა გადაშენების პირას მყოფი სახეობების სანერგე, სადაც იმერული მუხისა და ძელქვის ნერგები გამოჰყავთ.

პროექტის ფარგლებში, ალკვეთილის ტყეების გრძელვადიანი ადდგენის მხარდასაჭერად, ალკვეთილის თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგები იმერული მუხისა და ძელქვის ნერგების გამოყვანის, ახლადგამენებული კორომების მართვის, კლიმატთან ადაპტაციის, კაფსულირების მეთოდით თესვისა და სხვა საკითხებში.



AJAMETI MANAGED RESERVE FOREST RESTORATION EFFORTS

Between 2022 and 2026, the Biological Farming Association "Elkana", with financial support from BP Group member BP International Limited (BPIL) and bp Georgia, and in cooperation with Agency of Protected Areas of Georgia (APA), conducted restoration activities as part of the project - "Restoration of Biodiversity in Ajameti Managed Reserve."

Restoration work was carried out on over 6.72 hectares where Imeretian oak grove was restored. The area was cleared, fenced, and equipped with an irrigation system after which, 20,300 Imeretian oak and 1,200 Georgian oak seedlings were planted.

In addition, in the pre-selected forest areas most affected by anthropogenic pressures and located near the restoration plots, numerous encapsulated acorns of Imeretian oak and seeds of Caucasian elm were dispersed and about 5,900 Imeretian oak saplings were planted alongside existing vegetation to enhance natural regeneration.

A nursery for endangered species was also established, where seedlings of Imeretian oak and Caucasian elm are produced.

To support long term restoration of the Managed Reserve in the framework of the project, the reserve staff received trainings on Imeretian oak and Caucasian elm seedling cultivation, newly established grove management, climate adaptation, sowing with encapsulation method etc.





რატომ არის

აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორია

და მისი შემოგარენი საინტერესო?




Why visit the
AJAMETI MANAGED RESERVE

თუ აჯამეთის აღკვეთილის უნიკალური ბუნების გაცნობა გსურთ, შეგიძლიათ ისარგებლოთ ეკოტურისტული ბილიკების ქსელით, რომელიც დაახლოებით 40 კმ სიგრძისაა. ბილიკებზე მოწყობილია შესაბამისი მცირე ინფრასტრუქტურა -საინფორმაციო დაფები, საპიკნიკე და ცეცხლის დასანთები ადგილები. აღკვეთილის ტერიტორიაზე, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, დაშვებულია ღრონითა და ფოტოხაფანგით გადაღება.

აჯამეთის აღკვეთილის გაცნობისას შეგიძლიათ მის გარშემო მდებარე სოფლების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიც მოინახულოთ და ღვინის ტურიც დაგეგმოთ. აჯამეთის მიმდებარე სოფლები - სვირი და ობჩა იმერეთის მეღვინეობის ადგილწარმოშობის დასახელებებია.

დაცულ ტერიტორიაზე ვიზიტის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის გასაცნობად შეგიძლიათ ეწვიოთ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებგვერდს - <http://apa.gov.ge>, აჯამეთის აღკვეთილის Facebook-ის გვერდს ან დაუკავშირდეთ აღკვეთილის ადმინისტრაციას.



To explore the unique nature of the Ajameti Managed Reserve, you can use the 40-kilometer eco-touristic trail network. These trails are equipped with informational signs, picnic spots, and campfire areas. Drone and camera photography is permitted in the Ajameti Managed Reserve, subject to agreement with the administration.

While exploring, visitors can also enjoy nearby cultural heritage sites and take part in wine tours. The villages surrounding Ajameti - Sviri and Obcha - are Imereti winemaking designations of origin.

For more information about visiting the protected area, you can visit the website of Agency of Protected Areas - <http://apa.gov.ge>, the Ajameti Managed Reserve Facebook page, or contact the Reserve administration.



